დახატე საკუთარი თავი

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინსტრუქციული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	176
კითხვის დონე:	IX
ტექსტის მოკლე შინაარსი:	არამხატვრული, ინსტრუქციული ტიპის ტექსტია, რომელიც ადამიანის სახის დახატვას ასწავლის მოსწავლეებს გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით.

გაკვეთილის მიზანი:

ტექსტი „დახატე საკუთარი თავი“ მოსწავლეებში ინსტრუქციულ ენობრივ მახასიათებლებსა და თანმიმდევრობის ლოგიკურობის შეგრძნებას ავითარებს. ტექსტი დინამიურია და მასზე მუშაობის მრავალი, განსხვავებული მიდგომის, მეთოდისა და ინსტრუმენტის გამოყენების საშუალებას იძლევა.

მოსალოდნელი შედეგი:

მოსწავლეები კარგად იცნობენ სახის ნაკვრთებს და შეუძლიათ მათი დაკავშირება/ასოცირება მათემატიკურ ფიგურებთან. მოსწავლეები შეიცნობენ თანმიმდევრობის გამომხატველ ზმნიზედებს. მოსწავლეებს უჩნდებათ ტექსტის დინამიკის აღქმის უნარი.

ტექსტის ამოცანებია:

ფონეტიკური	ლექსიკური	გრამატიკული
-	„გასწვრივ“, „გააჩნია“ - კონტექსტში. „ჯერ, ამის შემდეგ, ახლა“ - კონტექსტებში სწორად გამოყენება. ფერები და მათი დაკავშირება საკუთარ გარეგნობასთან.	„გასწვრივ“, „ში“ „ზე“ თანდებულების სათანადო კონტექსტში გამოყენება.

გააზრებასთან დაკავშირებული ამოცანები:

ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები	სპეციფიკური ჩარჩო მოქმედებათა თანამიმდევრობის დროში გადაწილებისათვის. წინადადებების რეპეტიციული ხასიათი. ტექსტში მოცემული კითხვა-პასუხის რეჟიმი, სადაც პასუხი არაერთმნიშვნელოვნად არის მოცემული და ტოვებს სივრცეს მოსწავლის პერსონალური პასუხისათვის.
შინაარსობრივი მხარე	ტექსტის ინსტრუქციული ხასიათი, რომელიც გათვლილია ტექსტის ბოლოს, მოქმედებათა სერიის შემდეგ, საბოლოო შედეგზე. ტექსტი იძლევა საშუალებას, მოსწავლემ იმუშაოს მცირე ქვეშედეგებზე და ნელ-ნელა მივიდეს საბოლოო შედეგამდე, რომელიც, ამავდროულად, ტექსტის კოდსაც წარმოადგენს. აქტიურდება მოსწავლის წინარე ცოდნა, სადაც ის გეომეტრიულ ფიგურებს, სახის ნაკვთებსა და ფერებს ერთამენთთან აკავშირებს.
ჟანრობრივი მხარე	არამხატვრული, ინსტრუქციული ტექსტი, რომელიც დინამიურად ვითარდება და ამით მოსწავლეების კითხვის მოტივაციას ამაღლებს. ტექსტის ინსტრუქციების შედეგად მიღებული ავტოპორტრეტი საშუალებას იძლევა, მოსწავლეებს იუმორზე, როგორც ჟანრობრივ თავისებურებაზე, ვესაუბროთ.

გამოსაყენებელი მასალა:

ფურცელი, ფერადი ფანქრები, ფრაზების ბარათები, დავალების ფურცლები.

საგაკვეთილო აქტივობები

კითხვამდელი ფაზა

მოტივირება კითხვისათვის, წინარე ცოდნის გააქტიურება:

ჰკითხეთ მოსწავლეებს, ხატვა უყვართ თუ არა. ჰკითხეთ მათ, რისი ხატვა მოსწონთ ყველაზე მეტად. თუ რომელიმე მოსწავლე დაასახელებს „ადამიანებს“, „ადამიანის სახეს“ ან „პორტრეტს“, დაწერეთ ეს სიტყვები დაფაზე. ახლა ჰკითხეთ ბავშვებს, როგორ ფიქრობენ: ადვილია თუ რთულია საკუთარი თავის დახატვა. ჰკითხეთ მათ, რა დასჭირდებოდათ იმისათვის, რომ საკუთარი თავი დაეხატათ. პასუხები დაწერეთ დაფაზე. ჰკითხეთ, ხომ არ უნდათ, რომ სცადონ საკუთარი თავის დახატვა. ჰკითხეთ, როგორ ჰქონიათ, რა უნდა იცოდნენ იმისათვის, რომ საკუთარი თავი კარგად დახატონ. პასუხები ასევე ჩამოწერეთ დაფაზე.

კითხვის ფაზა

სთხოვეთ მოსწავლეებს, გაამზადონ ფურცლები და ფერადი ფანქრები, ოღონდ ისე, რომ ჯერ ყურადღებით მოგისმინონ. წაუკითხეთ ტექტი მოსწავლეებს გამდიდრებული ინტონაციით. ჰკითხეთ მოსწავლეებს, დაიმახსოვრეს თუ არა ტექსტში მოცემული ინსტრუქცია ისე, რომ შეძლებენ თანმიმდევრობით დახატონ საკუთარი თავები (დიდია იმის ალბათობა, ბავშვები იტყვიან, რომ დაიმახსოვრეს, რადგან მათ ერთი სული აქვთ, ხატვა დაიწყონ).

სთხოვეთ მოსწავლეებს, პატარა სავარჯიშო შეასრულონ მანამდე, სანამ ხატვას დაიწყებენ. დაურიგეთ მოსწავლეებს ორგანიზატორები, რომლებიც ქვემოთაა მოცემული და სთხოვეთ, რომ მოსმენილი ტექსტის მიხედვით დატოვონ ის ფიგურები, რომლებიც საკუთარი თავის ხატვისათვის უნდა გამოიყენონ.

დავალების ფურცელი ქვემოთაა მოცემული:

გადახაზე ის ფიგურა, რომელიც საკუთარი თავის დახატვისათვის არ დაგჭირდება.

წრე	**კვადრატი**	**ოვალი**
სამკუთხედი	**ნახევრწრე**	**მრავალკითხედი**
მონაკვეთი	**რკალი**	**მართკუთხედი**
რომბი	**ტრაპეცია**	**ხაზი**

სთხოვეთ ბავშვებს, რომ ახლა წაიკითხონ ტექსტი თავისთვის კიდევ ერთხელ და გადაამოწმონ საკუთარი პასუხები და შეასწორონ შეცდომები.

სთხოვეთ მოსწავლეებს წყვილში მუშაობა. სთხოვეთ, რომ ერთმა მათგანმა წაკითხოს ტექსტი, ხოლო მეორემ კი შეასრულოს მიცემული დავალებები. ამის შემდეგ კი როლები შეცვალონ.

კითხვის შემდგომი ფაზა

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, კიდევ ერთი დავალება შეასრულონ ორგანიზატორის საშუალებით, რომელიც საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა ტექსტის ქვე-ამოცანები განსაზღვრონ. ორგანი-ზატორი ქვემოთ არის მოცემული:

„დახატე საკუთარი თავი“ **ორგ. 2**

შეაერთე სახის ნაკვრთი იმ ფიგურასთან, რომელიც მისი დახატვისთვის გამოიყენე. თუ საჭიროა, შეაერთე ორ ფიგურასთანაც

სახე	**ხაზი**
ცხვირი	**ნახევარწრე**
თვალი	**წრე**
ყური	**ოვალი**
ლოყა	**რკალი**

2. ახლა სთხოვეთ მოსწავლეებს, მოვიდნენ თქვენს მაგიდასთან, სადაც ფრაზების ბარათები ორ დასტადაა მოთავსებული და ამოიღონ თითო დასტიდან თითო ბარათი.

ახლა დაწერეთ დაფაზე სიტყვა „გააჩნია“ და სთხოვეთ მოსწავლეებს ორ სხვადასხვა ფრაზების ბარათზე მოცემული ფრაზებიდან ერთი შინაარსიანი ფრაზა ააწყონ სიტყვა „გააჩნია“-ს საშუალებით. სთხოვეთ რამდენიმე მოსწავლეს მათი სურვილის მიხედვით წაიკითხონ დაწერილი წინადადებები.

ფრაზების ნიმუშებია:

ქოლგა დამჭირდება?	*ფასს გააჩნია*
ნაყინი ვიყიდო?	*გააჩნია, სად მიდიხარ*
ავტობუსს დაველოდო?	*გააჩნია, რა გიყვარს*
წიგნი წავიკითხო?	*გააჩნია, რამდენი საშინაო დავალება გაქვს*
ბილეთები ვიყიდო?	*გააჩნია, რომელი საათია*
პატარა დავაწვინო?	*ამინდს გააჩნია*

3. მიეცით მოსწავლეებს მორიგი დავალება ან მიეცით საშინაო დავალებად:

დახატონ რომელიმე ოჯახის წევრის პორტრეტი და დაწერონ მოცემულ ორგანიზატორში თანმიმდევრობით, რა რის მერე დახატეს ტექსტის მიხედვით. განსაზღვრონ, რა ფერის თვალი და როგორი და რა ფერის თმა დახატეს პორტრეტზე. ხატვის პროცესის აღწერისთვის გამოიყენონ შემდეგი ორგანიზატორი:

www.reading.ge

კითხვის კიბე

მჭირდება:

	დავხატე	რა მივიღე?	როგორი
ჯერ			
შემდეგ			
ამის შემდეგ			
ახლა			
შემდეგ			
ამის შემდეგ			
კიდევ			
ბოლოს			

მივიღე: